საქართველოს პარლამენტის არქივი * www.parliament.ge /archive * Georgian Parliament Archive

75

80

საქართველოს რესპუბლიკის

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარების - ეროვნული გვარდიის შექმნის შესახებ

„ადამიანის უფლებათა დაცვისა და მართლწესრიგის განმტკიცების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1990 წლის 15 ნოემბრის დადგენილების შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ა დ გ ე ნ ს :

1. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეიქმნას შინაგანი ჯარები - ეროვნული გვარდია.

2. შინაგანი ჯარების - ეროვნული გვარდიის საერთო ხელმძღვანელობისათვის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ჩამოყალიბდეს მთავარი სამმართველო, რომლის უფროსი იმავდროულად იქნება შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე.

შინაგან ჯარებს - ეროვნულ გვარდიას მეთაურობს სარდალი, რომელსაც ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

3. შინაგანი ჯარები - ეროვნული გვარდია მოწოდებულია იცავდეს სამშობლოს ინტერესებს, მის ტერიტორიულ მთლიანობას, მოქალაქეთა სიცოცხლესა და პირად ღირსებას, მათს კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს დანაშაულებრივი ხელყოფისა და სხვა ანტისაზოგადოებრივი მოქმედებისაგან;

მონაწილეობს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევათა აღკვეთაში, თუ ამ დარღვევებს მასობრივი ხასიათი აქვს, საფრთხეს უქმნის მოქალაქეთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, იწვევს საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობის დეზორგანიზაციას;

საქართველოს პარლამენტის არქივი * www.parliament.ge /archive * Georgian Parliament Archive

76

81



მონაწილეობს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მიერ გამოცხადებული საგანგებო წესების განხორციელებაში, საგანგებო ვითარების შედეგების ლიკვიდაციაში; ხელს უწყობს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში.

4. მასზე დაკისრებულ მოვალეობათა შესასრულებლად შინაგანი ჯარების - ეროვნული გვარდიის გამოყენება ხდება მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით.

5. შინაგანი ჯარების - ეროვნული გვარდიის რიგითი შემადგენლობის დაკომპლექტება ხდება საყოველთაო-სამხედრო ვალდებულების საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებით, რომლებსაც 18 წელი შეუსრულდათ, ხოლო მეთაურთა შემადგენლობისა - საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებით ნებაყოფლობით საფუძველზე, კონტრაქტით.

6. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატმა განახორციელონ სათანადო ღონისძიებანი შინაგანი ჯარების - ეროვნული გვარდიის წვევამდელებითა და მეთაურთა შემადგენლობით დასაკომპლექტებლად.

7. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ გადაწყვიტოს შინაგანი ჯარების - ეროვნული გვარდიის ორგანიზაციული, მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფის საკითხები.

8. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის, თავდაცვის, ეროვნული უშიშროებისა და მართლწესრიგის კომისიებმა მოამზადონ შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტები, რომლებიც დაკავშირებულია შინაგანი ჯარების - ეროვნული გვარდიის შექმნასა და ფუნქციონირებასთან.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი
საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია

თბილისი.

1990 წლის 20 დეკემბერი.

№75-Iს

საქართველოს პარლამენტის არქივი * www.parliament.ge /archive * Georgian Parliament Archive



# З А К О Н
## РЕСПУБЛИКИ ГРУЗИЯ

Об образовании внутренних войск - Национальной гвардии Республики Грузия

В соответствии с постановлением Верховного Совета Республики Грузия от 15 ноября 1990 года "О защите прав человека и укреплении правопорядка" Верховный Совет Республики Грузия

п о с т а н о в л я е т :

1. Образовать при Министерстве внутренних дел Республики Грузия внутренние войска - Национальную гвардию.

2. Для общего руководства внутренними войсками - Национальной гвардией сформировать при Министерстве внутренних дел Главное управление, начальник которого будет одновременно Первым заместителем Министра внутренних дел.

Внутренними войсками - Национальной гвардией командует Командующий внутренними войсками, назначаемый Верховным Советом Республики Грузия.

3. Внутренние войска - Национальная гвардия призвана защищать интересы Родины, ее территориальную целостность, жизнь и личное достоинство граждан, их конституционные права и свободы от преступных посягательств и других антиобщественных действий;

участвует в пресечении нарушений общественного порядка, если эти нарушения имеют массовый характер, создают угрозу жизни и здоровью граждан, вызывают дезорганизацию работы предприятий, учреждений и организаций;

საქართველოს პარლამენტის არქივი * www.parliament.ge /archive * Georgian Parliament Archive

78

83



участвует в осуществлении чрезвычайного положения, объявленного высшим органом государственной власти Республики Грузия, в ликвидации последствий чрезвычайных обстоятельств. Оказывает содействие органам внутренних дел Республики Грузия в охране общественного порядка.

4. Для выполнения возложенных обязанностей внутренних войска - Национальная гвардия используется только по решению Председателя Верховного Совета Республики Грузия.

5. Рядовой состав внутренних войск - Национальной гвардии комплектуется на основании всеобщей воинской обязанности гражданами Республики Грузия, достигшими 18 лет, а командный состав - гражданами Республики Грузия на добровольной основе по контракту.

6. Министерству внутренних дел Республики Грузия, Военному комиссариату Республики Грузия осуществить надлежащие мероприятия по укомплектованию внутренних войск - Национальной гвардии призывниками и командным составом.

7. Совету Министров Республики Грузия решить организационные, материальные и финансовые вопросы внутренних войск - Национальной гвардии.

8. Комиссиям по законодательству и охране законности, по обороне, национальной безопасности и правопорядку Верховного Совета Республики Грузия подготовить проекты соответствующих правовых актов, связанных с образованием и функционированием внутренних войск - Национальной гвардии.

Председатель Верховного Совета
Республики Грузия З.Гамсахурдиа.

Тбилиси.

20 декабря 1990 года.

N75-Iс

საქართველოს პარლამენტის არქივი * www.parliament.ge /archive * Georgian Parliament Archive

79

84

~~პროექტი № 7~~

## საქართველოს რესპუბლიკის

## კ ა ნ ო ნ ი

### საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარების – ეროვნული გვარდიის შექმნის შესახებ

"ადამიანის უფლებათა დაცვისა და მართლწესრიგის განმტკიცების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1990 წლის 15 ნოემბრის დადგენილების შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ა დ გ ე ნ ს :

~~მუხლი~~ 1. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეიქმნას შინაგანი ჯარები – ეროვნული გვარდია.

~~მუხლი~~ 2. ეროვნული გვარდიის საერთო ხელმძღვანელობისათვის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ჩამოყალიბდეს მთავარი სამმართველო, რომლის უფროსი იმავდროულად ~~არის~~ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე.

ეროვნულ გვარდიას ~~უშუალოდ მეთაურობს ეროვნული გვარდიის~~ სარდალი, რომელსაც ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

~~მუხლი~~ 3. ეროვნული გვარდია მოწოდებულია ~~დაიცავს~~ სამშობლოს ინტერესებს, მის ტერიტორიულ მთლიანობას, მოქალაქეთა სიცოცხლეს და პირად ღირსებას, მათ კონსტიტუციურ უფლებებს და თავისუფლებებს დანაშაულებრივი ხელყოფისა და სხვა ანტისაზოგადოებრივი მოქმედებისაგან.

~~ეროვნული გვარდია~~ მონაწილეობს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევათა აღკვეთაში, თუ ამ დარღვევებს მასობრივი ხასიათი აქვს, საფრთხეს უქმნის მოქალაქეთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, იწვევს საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობის დეზორგანიზაციას.

~~ეროვნული გვარდია~~ მონაწილეობს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მიერ გამოცხადებული საგანგებო წესების განხორციელებაში, საგანგებო ვითარების შედეგების ლიკვიდაციაში.

საქართველოს პარლამენტის არქივი * www.parliament.ge /archive * Georgian Parliament Archive



ხელს უწყობს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში.

~~მუხლი 4.~~ მე-3 ~~მუხლით~~ ~~დადგენილ~~ მოვალეობათა შესასრულებლად ეროვნული გვარდიის გამოყენება ხდება მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით.

~~მუხლი~~ 5. ეროვნული გვარდიის ~~ჯარისკაცთა~~ შემადგენლობის დაკომპლექტება ~~მოხდეს~~ საყოველთაო-სამხედრო ვალდებულების საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებით, რომლებსაც 18 წელი შეუსრულდათ, ხოლო შემადგენლობისა – საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებით ნებაყოფლობით საფუძველზე, კონტრაქტით.

~~მუხლი~~ 6. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატმა ~~გაატარონ~~ სათანადო ღონისძიებანი ეროვნული გვარდიის წვევამდელებითა და მეთაურთა შემადგენლობით დასაკომპლექტებლად.

~~მუხლი~~ 7. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ გადაწყვიტოს ეროვნული გვარდიის ორგანიზაციული, მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფის საკითხები.

~~მუხლი~~ 8. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის, თავდაცვის, ეროვნული უშიშროებისა და მართლწესრიგის კომისიებმა მოამზადონ შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტები, რომლებიც დაკავშირებულია ეროვნული გვარდიის შექმნასა და ფუნქციონირებასთან.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი
საბჭოს თავმჯდომარე

რბ.

საქართველოს პარლამენტის არქივი * www.parliament.ge /archive * Georgian Parliament Archive

პროექტი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო

# კ ა ნ ო ნ ი

## საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარების – ეროვნული გვარდიის შექმნის შესახებ

ადამიანის უფლებათა დაცვისა და მართლწესრიგის განმტკიცების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1990 წლის 15 ნოემბრის დადგენილების შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ა დ გ ე ნ ს :

მუხლი 1. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეიქმნას შინაგანი ჯარები – ეროვნული გვარდია.

მუხლი 2. ეროვნული გვარდიის საერთო ხელმძღვანელობისათვის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ჩამოყალიბდეს მთავარი სამმართველო, რომლის უფროსი იმავდროულად არის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე.

ეროვნულ გვარდიას უშუალოდ მართავს ეროვნული გვარდიის სარდალი, რომელსაც ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

მუხლი 3. ეროვნული გვარდია მოწოდებულია იცავდეს სამშობლოს ინტერესებს, მის ტერიტორიულ მთლიანობას, მოქალაქეთა სიცოცხლესა და პირად ღირსებას, მათ კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს დანაშაულებრივი ხელყოფისა და სხვა ანტისაზოგადოებრივი მოქმედებისაგან.

ეროვნული გვარდია მონაწილეობს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევათა აღკვეთაში, თუ ამ დარღვევებს მასობრივი ხასიათი აქვს, საფრთხეს უქმნის მოქალაქეთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, იწვევს

საქართველოს პარლამენტის არქივი * www.parliament.ge /archive * Georgian Parliament Archive

82

87



საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობის დეზორგანიზაციას.

ეროვნული გვარდია მონაწილეობს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მიერ გამოცხადებული საგანგებო წესების განხორციელებაში, საგანგებო ვითარების შედეგების ლიკვიდაციაში. ხელს უწყობს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში.

მუხლი 4. მე-3 მუხლში აღნიშნულ მოვალეობათა შესასრულებლად ეროვნული გვარდიის გამოყენება ხდება მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ~~პრეზიდიუმის~~ [თავმჯდომარის] გადაწყვეტილებით.

მუხლი 5. ეროვნული გვარდიის ჯარისკაცთა შემადგენლობის დაკომპლექტება მოხდეს საყოველთაო-სამხედრო ვალდებულების საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებით, რომლებსაც 18 წელი შეუსრულდათ, ხოლო მეთაურთა შემადგენლობისა – საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებით ნებაყოფლობით საფუძველზე კონტრაქტით.

მუხლი 6. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატმა გაატარონ სათანადო ღონისძიებანი ეროვნული გვარდიის წვევამდელებითა და მეთაურთა შემადგენლობით დასაკომპლექტებლად.

მუხლი 7. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ გადაწყვიტოს ეროვნული გვარდიის ~~მთავარი სამმართველოს~~ ორგანიზაციული, მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფის საკითხები.

საქართველოს პარლამენტის არქივი * www.parliament.ge /archive * Georgian Parliament Archive



მუხლი 8. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის, თავდაცვის, ეროვნული უშიშროებისა და მართლწესრიგის კომისიებმა მოამზადონ შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტები, რომლებიც დაკავშირებულია ეროვნული გვარდიის შექმნასა და ფუნქციონირებასთან.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი
საბჭოს თავმჯდომარე

ზ. გამსახურდია